

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;

შპს „გოტა 21“ (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 401963791, წარმოდგენილი დირექტორის, ბეჟან ბაღათურიას მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში - „საქრუსენერგო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში - „ენერგოტრანსი“), წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

შპს „სტორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ახალი კომპანია“), ს/კ: 405162112, წარმოდგენილი დირექტორის, ბეჟან ბაღათურიას მიერ,

(შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც - „მხარე“).

ვინაიდან, საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის

კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „მემორანდუმი“) „სტორი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების მიზნით (შემდგომში - „პროექტი“) თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის ახალ კომპანიაზე გასხვისების თაობაზე;

ვინაიდან, ახალი კომპანია თანახმაა, ჩანაცვლოს კომპანია, როგორც მემორანდუმის მხარე და სრულად და უპირობოდ იკისროს მემორანდუმით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან შეიცვალოს მემორანდუმის მხარე და კომპანია ჩანაცვლდეს ახალი კომპანიით.
2. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან ახალ კომპანიას ეკისრება კომპანიის მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უშუალოდ, სრულად და უპირობოდ შესრულების ვალდებულება, ამასთან, ახალ კომპანიას ეკისრება პასუხისმგებლობა შეთანხმების დადების მომენტისათვის კომპანიის მიერ მემორანდუმის ფარგლებში შეუსრულებელ ან/და არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მემორანდუმიდან გამომდინარე შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ შედეგებზე.
3. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან კომპანია სრულად კარგავს მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლებებს და თავისუფლდება მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოვალეობისგან.
4. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა მითითება კომპანიის მიმართ გულისხმობს და განიმარტება ახალი კომპანიის მიმართ მითითებად.
5. ახალი კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში წარმოდგინოს სამშენებლო გარანტია 2,003,000.00 აშშ დოლარის ოდენობით. ახალი კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 5 თვით უნდა აღემატებოდეს მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების თარიღს.
6. წინამდებარე შეთანხმების მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 მუხლები ძალაში შედის შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, ხოლო სხვა მუხლები ძალაში შევა ახალი კომპანიის მიერ ამ შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდგომ.

7. მემორანდუმის სხვა მუხლები, დებულებები და დანართები რჩება უცვლელი.
8. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე შვიდ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
9. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან კავშირში წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც მხარეებს შორის ვერ მოგვარდება მოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაშნიკი

შპს „გოტა 21“

ბექან ბოთაიყჩია

ბექან ბაღათურია

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურძმე

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემების კომერციული ოპერატორი“

რომეო მთაყურაძე



შპს „ენერგოტრანსი“

კახა სეხნიაშვილი

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

შპს „სტორი“

ტყეან ბერაძე

ბენან ბალათურია



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

№2526 2016 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „სტორს“ შორის დასაადები შეთანხმების თაობაზე


1. მოწონებულ იქნეს შეთანხმების პროექტი საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების შესაბამისად, შპს „სტორის“ მიერ სამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შპს „გოტა 21-ის“ მიერ წარდგენილი სამშენებლო საბანკო გარანტიის (2,003,000.00 (ორი მილიონ სამი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით) დაბრუნება.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმების პროექტს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

4. ამ განკარგულების მეორე პუნქტში განსაზღვრული საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს, კახა კალაძეს.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010152747404216

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7143

03 / ნოემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილე,
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 31 თებერვლის №04/4383 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ, მის პრეამბულაში არ არის მოხსენიებული მემორანდუმის ყველა მხარე.

პატივისცემით,

გ. დსაიფიფანძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1325
15/11/2016

1325-01-2-201611151130



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 14 ნოემბრის N04/4541 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21“-ს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (სტორი 1 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036


ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

საქრუსენერგომ

სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა“

SAKRUSENERGO

JSC. UNITED ENERGY SYSTEM



N 05/987
15/11/2016

987-05-2-201611151615



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2016 წლის 14 ნოემბრის N 04/4541 წერილი საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და შპს „ენერჯოტრანსს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ რომ აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი



საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



5473-09-2-201611161649

N 5473/09

16/11/2016

საქართველოს ენერჯეტიკის
სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 14.11.2016 წ. N04/4541 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი

www.gse.com.ge



საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

15/11/2016

N 662

662-01-2-201611151515



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 14 ნოემბრის #04/4541 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16114180, 12/08/2016 17:46:22

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს სტორი
სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405162112
**რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი:** 12/08/2016
**მარეგისტრირებული
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ.
ყაზბეგის გამზ., № 24გ, ბ. 243
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: Tsulukidze.s@gmail.com
დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 62003006167, ბეჟან ბალათურია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
61004003590, სულიკო ნულუკიძე	60.000000000%	
36001040181, ვაჟა ციგროშვილი, რუსეთის ფედერაცია, საქართველო	25.000000000%	
01017003114, ბეჟანი ანუაშვილი	15.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge